აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/107

#

20.10.2020

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე ჩატარდეს დეკანის არჩევნები
2. არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 23 დეკემბერს 12 საათიდან 16 საათამდე.
3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 24 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა #59, I კორპუსი, აუდიტორია #1138.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.
7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

10. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით 16 საათამდე.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი, პროფ.როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი